

# ბარიატრიული ოპერაციის შემდგომი ფსიქოლოგიური თავისებურებები

ნინო ჩოჩნიძე

მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტი

კლინიკური ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ია შეყრილაძე

ასისტენტ-პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

## განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნინო ჩოჩნიძე

10.07.2020

## აბსტრაქტი

ბარიატრიული ქირურგია არის ერთ-ერთი ეფექტური მიდგომა მძიმე და რთული სიმსუქნის დასაძლევად. ბარიატრიული ოპერაცია მოიცავს კუჭის მოცულობის შემცირებას ან კუჭის ბალონირებას ან ნაწლავის დამოკლებას, თითოეული მათგანის მიზანია შემცირდეს ჭარბი საკვების მიღება და მოხდეს სწრაფი გადამუშავება, რომელიც ადამიანებს ეხმარება წონის სწრაფ კლებაში. თუმცა, ნაკლებად აცნობილი აღნიშნული ჩარევის ფსიქოსოციალური გავლენის თავისებურებები, ვინაიდან შედეგები განსხვავდება ინდივიდებში.

ნაშრომი მოიცავს თვისებრივ და რაოდენობრივ კომპონენტებს და იკვლევს ბარიატრიული ოპერაცია გადატანილი პორების ცხოვრებისეულ პერსპექტივებს და ფსიქოლოგიურ თავისებურებებს საქართველოში. კვლევაში ყურადღება გამახვილებულია იმ ფაქტორებზე, რომლებიც პრედიქტორია ფსიქოსოციალური მდგომარეობის ცვლილებისა პოსტ-ოპერაციულ პერიოდში, რომელიც მოიცავს ორიდან-ორნახევარ წელს. საერთო ჯამში კვლევა შეისწავლის ამ პირების თვითშეფასებასა და ცვლილებებს სხეულის ხატში, ცხოვრებაში, ურთიერთობებსა და კვებითი ქცევებში. აღნიშნული ცვლადების გაზომვა განხორციელდა შესაბამისი კითხვარებით.

კვლევიდან მიღებულმა შედეგებმა უმეტესწილად დაადასტურა არსებული ვარაუდები. მიღებული მონაცემები და რეკომენდაციები ცხადყოფს გრძელვადიანი მხარდაჭერის მნიშვნელობას, განსაკუთრებით ფსიქოლოგიური და კვებითი თვალსაზრისით, რაც ეხმარება ადამიანებს ბარიატრიული ოპერაციის შემდეგ მიღწეული დადებითი ცვლილებების შენარჩუნებაში და გამოწვევებთან გამკლავებაში.

საკვანძო სიტყვები: ბარიატრიული ქირურგია; ჭარბი წონა; კვებითი ცვლილებები; ფსიქოლოგიური თავისებურებები.

## **Abstract**

Bariatric surgery is one of the most effective treatment for severe and complex obesity. bariatric surgery involves reducing the volume of the stomach or ballooning the stomach or shortening the bowel, each of which aims to reduce excess intake and speed up processing, which helps people lose weight quickly. But less is known about its psychosocial impact, because the results is individuals.

This work synthesizes qualitative studies, which examines the life prospects and psychological characteristics of temptation in Georgia. The study focuses on the factors that predispose to a change in psychosocial status in the postoperative period, which includes two or two and a half years. Various questionnaires were used to better measure the variability in the study, which added to the reliability of the survey data.

The results obtained from the study largely confirmed the assumptions that precede the study and This findings highlight the recommendations the importance of long-term support, especially in psychological and nutritional terms, Which helps people maintain positive changes achieved after bariatric surgery and deal with challenges.

Keywords: bariatric surgery;obesity; Nutritional changes; Psychological features.

## მადლობა

სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისას პირველ რიგში მადლობა მინდა გადავუხადო ჩემი ნაშრომის ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორს ია შეყრილაძეს გაწეული დახმარებისთვის.

კვლევაში წვლილის შეტანისთვის მადლობას ვუხდით კვლევის მონაწილეებს, რომლებმაც გამოიჩინეს გულისხმიერება და იყვნენ საკმაოდ გულწრფელები.

ასევე მადლობას ვუხდით ავერსის ზოგადი და ბარიატრიული ქირურგიის კოორდინატორს: ქირურგ კახაბერ ხაჭაპურიძეს და ენდოკრინილოგ ნათია რომაშვილს, რომელთა უშუალო დახმარებითაც სისრულეში მოვიყვანე კვლევა.